საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭოს
2010 წლის 1 მარტის
№ 206 დადგენილება

სტუ-ს სტუდენტთა სოციალური დახმარების ფონდის შექმნის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. სტუდენტთა სოციალური დახმარების მიზნით შეიქმნას სტუდენტთა სოციალური დახმარების ფონდი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული 2010 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის ასიგნებების ფარგლებში, ე.წ. „სხვა ხარჯების" მუხლით გათვალისწინებული 50000 ლარის ოდენობით.
2. შემუშავდეს და აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარედგინოს სტუდენტთა სოციალური დახმარების ფონდის განკარგვის წესი.
3. წესის პროექტის მომზადება დაევალოთ : პროფ. ქ. ქოქრაშვილს, პროფ. ზ. ლომსაძეს, პროფ. გ. აბრამიშვილს და პროფ. გ. არაბიძეს.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე